სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 40

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ **ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი **მისი დირექტორის თამაზ სალუქვაძის სახით** და მეორეს მხრივ **შპს „გივა"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი **მისი დირექტორის გიორგი კენჭაძის სახით,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **(CPV_71600000) ტექნიკური შემოწმება, ანალიზი** და **საკონსულტაციო (შემდგომში _ "მომსახურება") მომსახურების შესყიდვა,** ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **260 (ორას სამოცი) ლარს** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება") დღგ-ს ჩათვლით.

2.2. შესყიდვის ობიექტი, ოდენობა ფასი და ტექნიკური პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

№	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი და ტიპი	გაწეული მომსახურება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	სატვირთო-სამგზავრო **ს/ნ HB-519-HH**	ტექნიკური ინსპექტირება	1	100	100
2	ავტობუსი ფორდ ტრანზიტი **ს/ნ VB-017-VV**	ტექნიკური ინსპექტირება	1	100	100
3	სატვირთო ბორტიანი ფორდ ტრანზიტი **ს/ნ TX-298-XT**	ტექნიკური ინსპექტირება	1	60	60
	სულ				**260**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების (ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის) საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. ბათუმი, ვოლსკის ქუჩა N90.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10.დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"

მისამართი: ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის ქუჩა №14

საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941

ტელეფონი: (0422) 29 43 49

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;

მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა;

ბანკის კოდი - TRESGE22;

მიმღების ანგარიში GE62TB7901736010100015

სახაზინო კოდი 740727499

დირექტორი

თამაზ სალუქვაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „გივა"

მისამართი: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67

საიდენტიფიკაციო კოდი: 245592023

ტელეფონი: 0322480042;

საბანკო რეკვიზიტები:სს „თი ბი სი ბანკი",

ბანკი კოდი: TBCBG22

ანგარიშის №: GE09TB7372636070100002

დირექტორი

გიორგი კენჭაძე

Giorgi Kenchadze 61001030199

Digitally signed by Giorgi Kenchadze
Date: 2022.03.11 15:30:41